მეორე წელიწადი | ფასი 7 კაპ. | კვირა, 12 თიბათვე 1916 წ. | № 130


# საქართველო


ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიილება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

გამოცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... ... კნილზე—10 კ., ... მიღებულ განცხადებაზე ... ქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ცალკეულ ნომრისა ...**

**ხელისმოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**


განსვენებულ პოეტის

## იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილის
## დამკრძალავი ბიურო

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 12 თიბათვეს, დიდუბის ტაძარში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 12 საათზე.

---

კვირას, 12 თიბათვეს გარდაცვალების ორმოცის თავზე დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## იროდიონ ისაკის ძე
## ევდოშვილ-ხოსიტაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ გულითადის მწუხარებით განსვენებულის გულმოკლული **ქვრივი მანანა შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

---

კვირას, 12 თიბათვეს, გარდაცვალების ორმოცის თავზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## იროდიონ ევდოშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი, მეუღლე მისი ნინო, განსვენებულის და ბაბილინა ისაკის ასული, ძიძე ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი შუადღის 12 საათზე.

---

**მართა დავითის ასული, შვილებით, ეფროსინე ლევანის ასული შვილებითურთ—ალლაძენი, მარიამ ფილიპეს ასული და ალექსი სვიმონის ძე ლეონიძენი შვილებით,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველთა დაუვიწყარის მაზლის, მეორეთა ძვირფასი ბიძის და მეგობრის

## მიხეილ დავითის ძის
## ალლაძის

გარდაცვალებას.

გამოსვენება სახელმწიფო რკინის გზის სახლიდან № 6, კვირას, 12-ს დილის 9 ს. დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—216—1)


## სახალხო სახლი ქ. ი. ზუბალაშვილისა

**სამშაბათს 14 თიბათვეს 1916 წ.**

სახალხო სახლის სცენის-მოყვარეთა მიერ პირველათ, სახალხო სახლში ვლ. ს. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I.

## ინსტიკტი

დრამა 3 მოქ. კისტმეკერისა თარ. ვ. ს. ალექსი მესხიშვილისა.

II.

## მათიკო
მესამე მოქ. ა. ცაგარლისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ა. ქიქოძე, ს. ანკარა, მჭედლიშვილი, ბბ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. ნინიძე, გოგია გიორგაძე, შანშიევი, სალაყაია, გ. ჯაბაური და სხვა.

**წარმოდგენის მსვლელობის წესი:** 1) „მათიკო,“ 2) „ინსტიკტი“.

**ადგილების ფასი** 30 კ.-დან 99 კ.-მდე ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე დ საღ. 6—8 საათ.

რეჟისორი **ვლ. ს. ა. მესხიშვილი** გამგენი **ჯაბაური დ ნ. გიორგაძე.**



## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

**კვირას, 12 თიბათვეს** რუსული ტრუპის არტისტების მიერ, წარმოდგენილი იქნება, მხიარული მუსიკალური ოპერეტტა

## 1) მეფე მხიარულობს
## 2) დიდი კონცერტი

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

ოპერეტაზედ შესვლა უფასოა. (1-134-1)



## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 13—19 ივნისამდე.**

**ორშაბათი**—ოპერეტკა

**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი გლაზუნოვის ნაწარმოებთაგან, ბ. ა. მესის ლოტბარობით.

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ვოლფიზრაილის ლოტბარობით.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. შემდეგ—სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—სინემატოგრაფი-კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა, ვოლფიზრაილის ლოტბარობით.

**შაბათი**—სიმფონიური კონცერტი, ბ. ა. გესის ლოტბარობით, სოლისტების მონაწილეობით.

**კვირა**—საბავშვო საღამო—სამხედრო ორკესტრი და სინემატოგრაფი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. საყმაწვილო საღამოს 5 ს. 9 ს. ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს მომატებით მამაკაცისა 1 მ.—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. (1—135—1)



## ახალი კლუბის დარბაზი.
## ქართველ ხელოვანთა საზოგადოების თაოსნობით

**კვირას, 12 ივნისს, შუადღის 12 საათზე,**

## ივანე ჯავახიშვილი

**წაიკითხავს** **ლ ე ქ ც ი ა ს** **შემდეგ თემაზე:**

## „ქართული ხელოვნების ისტორიიდან“

ლექცია შეეხება ხუროთ-მოძღვრებას, მხატვრობას, განსაკუთრებით ისტორიულს, მოჭედლობას—აგრეთვე ტანისამოსისა, თავ-საბურავისა და ქსოვილების ისტორიას. ლექცია დასურათებული იქნება მრავალი დიაპოზიტივებით. **ბილეთების ფასი:** პირველი სამი რიგი 2 მან., დანარჩენი—1 მან., **სახალხო** მასწავლებელთათვის, მოწაფეთათვის 45 კაპ. (2—1321—1)



## გახმაროს მომხმარებელთა საზოგადოება „ჯანმრთელობა“-ს

**გამგეობა ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სეზონი**

## აგარაკ გახმაროზე იხსნება
## 20 ივნისიდან და გრძელდება 20 აგვისტომდე

**გამგეობას საჭირო სანოვაგე მომხმარებელთათვის უკვე შეძენილი აქვს**

**მომხ. საზ. „ჯანმრთელობა“-ს გამგეობა.**



## ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წლევანდელი **ნიორი 400 ფუთი** ამასთანავე შემიძლიან დავამზადოთ ოცი ფუთი **ტყემლის ტყლაპი.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ქ. სიღნაღში სოსიკო ჯანგულაშვილს.** (3-133-1)



## ვამზადებთ

**პიროებით** ხელმისაწვდომ ფასებში

## პრაპორშჩიკთა სკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—1



## ვეძებ ადგილს

**ახალგაზდა კაცი, თავისუფალი სამხედრო ბეგარისაგან,** საშუალო განათლებით, ვიცნობ კარგათ სასამართლოს საქმეს, რკინის გზისას (სპეციალურათ), ბუხგალტერიას. ხელი ლამაზი მაქვს. შემიძლიან სათავდებო თანხაც შევიტანო.

მისამართი: „საქართველო“-ს რედაქცია, პროკოფისათვის. (2-215-1)



**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ექიმი**

## ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.



**ქალის ექიმმა**

## მამულაიშვილმა

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.



**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**✦პროვიზორის ახვლედიანისა✦**



**დ. ზესტაფონში**

## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე



**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსი**ტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.



**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**



## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.



**ექიმი-დოსტაქარი**

## ბ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



## ხელოსანთა კლუბი

**ორშაბათს, 13 ივნისს,** ნაძალადევის წრის სცენის მოყვარეთა მიერ და დამსახურებულ მსახიობთა ბ.ბ. **გედევანოვის** და **გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა მთლიანად **დ. ერისთავისა**

## ს ა მ შ ო ბ ლ ო

ისტორიული დრამა 5 მოქ. და 7 სურათად

ამ პიესისათვის მოტანილი იქმნება საგანგებოთ დეკორაციები

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ.ქ. ბერძნიშვილი, გოგაშვილისა, კამკამიძე, ბ.ბ. ვ. გამყრელიძე, გედევანოვი, გოგაშვილი, კუდუხაშვილი, ლადოშვილი, იმედაშვილი, შავშიშვილი, სვანიძე მაისურაძე, კაციტაძე და სხვა. უმთავრეს როლებს შეასრულებენ **ბ.ბ. გ. გედევანოვი, ს. ლეონიძე** ვ. გამყრელიძე.

**ადგილების ფასი 30 კ. ვიდრე 1 მ. 15 კ-დე** ✦ **დასაწყისი საღამოს 9 საათ.**

რეჟისორი **ა. გოგაშვილი.** (1—217—1) ადმინისტ. **კუდუხაშვილი.**


### თბილისი, 12 თიბათვე

**საერთაშორისო მდგომარეობის გართულება.** პოლიტიკური ურთიერთობა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ისე გართულდა და გამწვავდა რომ ადვილი შესაძლებელია დღეს თუ ხვალ საერთაშორისო ომში კიდევ ერთი მონაწილე ჩაერიოს; სახელდობ საბერძნეთი. როგორც ოფიციალური დეპეშები იტყობინებიან ამ ორი დღის წინათ შეთანხმების სახელმწიფოების წარმომადგენლებს ათინაში საბერძნეთის მთავრობისათვის ულტიმატუმი გადაუციათ: აღუნიშნავთ რომ საბერძნეთის ვითომდა ნეიტრალური პოლიტიკა სინამდვილეში გერმანიისა და მისი მოკავშირეების მეგობრობაა, რაიცა სხვათა შორის იმით დამტკიცდა, რომ საბერძნეთმა ბულგარელებს უბრძოლველად დაუთმო ზოგიერთი გამაგრებული პოზიცია, ხელი შეუწყო გერმანელ ჯაშუშების მოქმედებას საკუთარ ტერიტორიაზე და სხვა. შეთანხმების სახელმწიფოები ითხოვენ რომ ათინის მთავრობამ რადიკალურად დაჰგმოს გერმანოფილური პოლიტიკა: მოახდინოს ჯარის დემობილიზაცია, შეადგინოს ახალი სამინისტრო რომელიც უფრო კეთილგანწყობილი იქნება შეთანხმების სახელმწიფოებთან, მოახდინოს პოლიციის რეორგანიზაცია და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ათინის მთავრობას ომით ემუქრებიან: ბლოკადა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა უკვე შემოარტყა საბერძნეთს, ალბათ ამ ომის შესავალია.

როგორც გუშინდელი ცნობებიდან სჩანს საბერძნეთს უკვე გარკვეული პასუხი მიუცია ამ ულტიმატუმის საპასუხოდ: მეფე კონსტანტინეს ახალი სამინისტრო კაბინეტის შედგენა უკიდურესი გერმანოფილი ზაიმისისთვის მიუნდვია, ხოლო ჯარისთვის უბრძანებია უბრძოლველად დაუთმოს ბულგარელებს ყველა გამაგრებული ადგილები, რომელთაც ეს უკანასკნელნი მოითხოვენ. ეს პასუხი აშკარა უარყოფაა შეთანხმების სახელმწიფოების ულტიმატუმისა და ეჭვი არ არის მეტის მეტად სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს.

ზოგიერთი გულფიცხელი პუბლიცისტი დინასტიური მოტივებით ხსნის იმ მოვლენას რომ საბერძნეთი აშკარად გერმანიისკენ გადაიხარა. ეს ახსნა ყალბი და ზერელეა. მეფე კონსტანტინე წარმოშობით დანიელი ბატონიშვილია და არა გერმანელი. მის ძარღვებში გერმანული სისხლი ნაკლებია ვიდრე ინგლისის მეფისაში. მართალია მისი მეუღლე კაიზერ ვილჰელმის და არის, მაგრამ ამ ზვირგვინოსანი მანდილოსნის პიროვნება ისეთს არაფერს წარმოადგენს რომ სამეფოს საგარეო პოლიტიკაზე გადამწყვეტი გავლენა იქონიოს. საერთოდ დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა რომ დღეს პოლიტიკას მხოლოდ მეფეები ჰქმნიან: დინასტიურ ომების ეპოქა წავიდა, დღეს ეროვნული ომების ხანაში ვცხოვრობთ.

საბერძნეთის ეროვნული ინტერესი სამწუხაროდ ბევრი მხრით ეწინააღმდეგება შეთანხმების სახელმწიფოების ინტერესებს. ეს გარემოება განსაკუთრებით გამოაშკარავდა მის შემდეგ რაც მსოფლიო ომში იტალია ჩაერია რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის მხარეზე. იტალიის მთავარი მიზანი ამ ომში ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებაა. მას სურს ხელში ჩაიგდოს ტრიენტი, ალბანეთი, ეპირი და რკინის სალტივით შემოარტყას ადრიატიულ ზღვას. მეორე მხრით იტალია მცირე აზიისკენ მიილტვის. აქ ის პრეტენზიებს აცხადებს „ავადმყოფი კაცის“ ე. ი. ოსმალეთის მემკვიდრეობაზე, განსაკუთრებით სმირნის ვილაიეტზე. ხიდი; რომლის შემწეობით იტალიას შეუძლია მცირე აზიის დასავლეთ ნაპირებს მიაღწიოს, ის პატარა კუნძულებია, ეგეის ზღვაზე რომ არის გაფანტული. ეს კუნძულები ბერძნებითაა დასახლებული; ბერძნებითაა დასახლებული აგრეთვე მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიც. თუ ეს ტერიტორია იტალიამ მიისაკუთრა, საბერძნეთის ეროვნული გაერთიანების იდეალს სამუდამოდ წესი აუგება. ამას გარდა საბერძნეთი ძლიერი ისტორიული ეკონომიური და კულტურული ძაფებითაა გადაბმული ეპიროსსა და სამხრეთ ალბანეთთან და მათი დათმობა თვით მკვლელობა იქნებოდა ამ პაწია ერისათვის. აქედან ცხადია რომ იტალიისა და საბერძნეთის ეროვნული მისწრაფებანი მძაფრად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს და მათი გამოსვლა ერთი და იმავე კოალიციის მხარეზე ყოვლად შეუძლებელია. საბერძნეთის გერმანოფილური პოლიტიკა მაშინ გაიჭედა, როცა იტალიამ ავსტრო-უნგრეთს ომი გამოუცხადა.

მოსალოდნელია რომ ახლო მომავალში საბერძნეთი მით უფრო გადაიხრება ცენტრალური სახელმწიფოებისაკენ, რაც უფრო ენერგიული გახდება იტალიის მოქმედება. როგორც ვიცით რომში ძველი ზომიერი კაბინეთი გადადგა და ადგილი დაუთმო ახალს სამინისტროს „ღვთაებრივი ერთობისას“. ეს უკანასკნელი დიდი მომხრეა სამხედრო მოქმედების გაფართოებისა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრება სწყურია. მაგრამ უეჭველია რომ ოსმალეთ იტალიის შეტაკება საბერძნეთს საბოლოოდ ჩააბამს ცენტრალურ სახელმწიფოების ფერხულში.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ინგლის-საფრანგეთმა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ზომა კიდეც მიიღო. ცუდი მაგალითი გადამდებ ავადმყოფობასავით მოქმედობსო, ნათქვამია. როცა გერმანეთმა ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია და ამ პაწია ერის ტერიტორია გადალახა ევროპის პრესსა სიტყვებს ვერ პოულობდა თავისი აღშფოთების გამოსახატავად. დღეს პაწია საბერძნეთის წინააღმდეგ იმავე საშუალებებს ხმარობენ. ნეიტრალიტეტის დარღვევას და სუვერენობის შეკვეცას. მაგრამ როგორც სჩანს ევროპელ პუბლიცისტების ნერვები შეეჩვია ასეთ მოვლენებს: დღეს მათ ნაკლებ აღელვებს ასეთი წვრილმანი.

## „სომხური პრესა“

ასეთი სათაურით გაზ. „ბაკუს“ № 125-ში დაიბეჭდა ყოვლად უგვანო და საზიზღარი ჭორი ქართულ პრესის წინააღმდეგ; რადგან ჩვეულებაა ცილისმწამებელთა—სადაც არა სჭირს სიმართლე, იქ წყალი აამღვრიონ სიყალბით.

„ამ ცოტა ხანშიო,—სწერს „ბაკუ“,—ქართულ გაზეთების ფურცლებზედ დაიბეჭდა შენიშვნა იმაზედ,ვითომ ეპისკოპოზ მესროპს მისდის იარაღი და ურიგებს სომხებს და ანდრონიკა აწყობს მოხალისეთა რაზმებს ქართველებთან საბრძოლველად“. „ამ ინსინუაციას, უმატებს გაზეთი, პასუხი გასცა „ჰორიზონში“ ცნობილმა სომხის პოეტმა ოვ. ტუმანიანმა: მე მიკვირსო, რომ მესროპის ბრალდება,

რომელსაც ოფიციალი ხასიათი ჰქონდა, აქამდის ოფიციალადვე უარყოფილი არ არის. რაც შეეხება ანდრონიკს, როცა წავუკითხეთ ქართველებისაგან დაწერილიო (?), გაუკვირდა და სთქვაო, არა მგონია, თუნდაც ყველაზე სულელ ქართველს ეთქვას ჩემზედ ესაო და სხვა და სხვა. შემდეგ აღწერილობა ანდრონიკის გულკეთილობისა, მეზობლებთან კარგი განწყობილებისა და სხვა და სხვა".

ყველა ამაზედ ქართული პრესის პასუხი. ვგონებთ, ერთი უნდა იყვეს: რომ ეს წმინდა წყლის პროვოკაცია არის, მოგონილი სომხის გზააბნეულ პოლიტიკოსების მიერ. მართლაც, ჯერ ერთი საკვირველია, რატომ ბ-ნი მესროპი არ უარყოფს ოფიციალურ ბრალდებას, რომ მან მიიღო იარაღი —ალბად იმიტომ, რომ უარყოფა ფაქტისა შეუძლებელია. რაც შეეხება იმას, რომ იარაღს ურიგებს სომხებსაო—არც ამის უარყოფა შეიძლება, რადგან, დარწმუნებულნი ვართ, იარაღი ხალხისათვისაა სახმარებელი და არა ეკლესიაში და იმის თქმა, ვითომ მიიოიხმარებენ ქართველების წინააღმდეგაო—არავის უფიქრია, რადგან ეს დარღვევა იქნებოდა ქართველების სრული წარმოდგენისა სომხებზედ, რომელნიც კულტურული ხალხია და საბრძოლველად ყოველთვის უფრო ისეთი საშუალებით გამოდის, როგორც ვაჭრობა, ჩარჩობა, ექსპლოატაცია და სხვა „კულტურული" საშუალება. იარაღი, ეს ბარბაროსულ ხალხთა წესია, როგორც მაგ. ქართველებისა, თათრებისა და სხ.

მაგრამ არა ნაკლებ ბარბაროსული წესია თქმა იმისა, ვითომ ქართულ პრესაში ანდრანიკს აბრალებდნენ რაზმების შედგენას ქართველების წინააღმდეგ. პატიოსანი გაზეთი („ბაკუ", „ჰორიზონი" და სხ.) როდესაც ჰბეჭდავს ასეთ აღმაშფოთებელ სისულელეებს, რომელიც თვით ანდრანიკს უკვირს, თუ დაუჯერებთ „ბაკუს",—უნდა აღინიშნოს მაინც გაზეთის სახელი, ნომერი და დღე, საცა ასეთი რამ დაიბეჭდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვეულებრივ პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს და მართალია ანდრანიკი, როცა ამბობს: „თვით უსულელესი ქართველი ამას არ იტყოდაო". ამას მარტო სომხის ჭკვიანი პოლიტიკანები ამბობენ, და ამჟღავნებენ, ალბად თავიანთ გულის ზრახვას, მაგრამ აქაც ისევე გამოივლებენ პირში ჩალას, როგორც ვიცეს დეპეშით, აჭარის საქმეებით და სხ. ამგვარ კეთილშობილების ნიმუშებით.

რ. გ.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გენერალ ბრუსილოვის მკვირცხლმა წარმატებამ რუსეთის საზოგადო აზროვნება პესიმისტურ მდგომარეობიდან გამოიყვანა და მეორე, უკიდურესში გადასტყორცნა—ოპტიმისტურში. წინდაწინვე დაიწყეს საზოგადოებრივი აზრის მომზადება თუ, ლვოვს რა სტრატეგიული თუ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სწორედ იგივე სურათებია, რაც ხდებოდა 1914 წ. ლაშქრობის დროს. მაშინ რუსის სახელოვან წინსვლაში და გამარჯვებაში ეჭვი არავის არ შეჰქონდა და, მაშასადამე, ლვოვიც ყოველ ღირსებით იყო აღჭურვილი. ლვოვი დაეცა. უთუოდ, ეს რუსეთის ჯარისთვის დიდი პრესტიჟის მოპოვებას ნიშნავდა. შემდეგ რვა თვის ლაშქრობა, პერემიშლის ალყა და მისი აღება ხომ დაგვირგვინება იყო რუსის სტრატეგიისა.

1915 წელმა შესცვალა ფრონტი და და რუსის მხედრობის დაფნამ დაიწყო დროებით ჩამოფურცვლა. გალიციის ეპოპეის დაწყებისთანავე ლვოვსაც და პერემიშლსაც მნიშვნელობა დაეკარგა. საზოგადოებაში სამხედრო მიმომხილველნი ირწმუნებოდნენ, რომ ერთსა და მეორესაც მნიშვნელობა იმ დრომდე ჰქონდა, ვიდრე დაეცემოდნენ, დღეს კი ნანგრევების შემდეგ აზრი აღარ აქვს მათს დაცვასა და მსხვერპლის გაწირვასაო. ბრუსილოვის გამარჯვების კვერთხმა ხელახლად ოცნებაში წარიტაცა მიმომხილველნი. უკვე დაიწყეს საზოგადოებრივი აზრის მომზადება, რომ ლვოვს თურმე... დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებაში პესიმიზმიდან უეცრივ ოპტიმიზმზე გადასვლა და უეცრივი დაღონება და სასოწარკვეთილება სწორედ ასეთ მიმომხილველთა ბრალია. ავსტრიელთა თავზე ელვისებური გამარჯვება უკანასკნელ კატავახიად გამოაცხადეს. დაივიწყეს ზომა. დაივიწყეს, რომ რაც უნდა იყოს, მთავარი ძალ-ღონე გერმანეთისა არ იყო ამოწურული, დაივიწყეს, რომ ვერდენმაც, მიუხედავად თავგანწირულების და სიმამაცისა, ვერ შესძლო სავსებით მტრის ცოცხალი ძალის გამოცლა, დაივიწყეს ისიც, რომ რუსეთის ასპარეზზეც მათ საკმაო რეზერვები ჰყავთ და მაშასადამე მთელს ბრძოლის ხაზზე შეუძლებელი იყო რუსებს, შედარებით ნაკლები არტილერიით, ერთგვარის ენერგიით ეწარმოებინათ ოპერაცია და ასე ჩქარა უკუ ეგდოთ და გაენადგურებინათ, რაც მაკენზენის ფლანგმა ცეცხლმფრქვევი იარაღით დაიპყრო რამდენიმე თვის განმავლობაში. ასეთს პირობებში ლვოვზე ლაპარაკი და ოცნება, თქმა არ უნდა, არავისთვის და მით უმეტეს სტრატეგიისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და ვნების მეტი არა მოაქვს რა.

რომ ლვოვზე ლაპარაკი მეტია ამ ხანად და ეს კიდევ შორეულ საკითხს შეადგენს, ვიდრე მოკავშირენი მთელს ფრონტზე არ დაიწყებენ საზოგადო შეტევას, ეს სჩანს იქიდანაც, რომ ლუცკის რაიონში რუსებმა პირველი შეტევიდანვე ბევრად არაფრით განავითარეს ლაშქრობა, ადრევე იქნენ შეჩერებული და მალე ფაქტიურად ხელიდან წაერთვათ ბრძოლის ინიციატივა. აქ გერმანელებს ხელი შეუწყო უთოოდ მშვენივრად მოწყობილ რკინის გზებმა, რის გამოც ჯართა სწრაფი გადმოჯგუფება მოახდინეს და, როგორც არა ერთხელ გვითქვია, საქმე ისე დააყენეს, რომ ცენტრი სიმძიმისა ისევ აქეთკენ გადმოჰხარეს და მით ჩერნოვიცის გამარჯვებას დაფნის სხივები შეუმცირეს. დღევანდელ დეპეშებმა საგულისხმიერო ცნობები მოგვაწოდეს. გამოირკვა, რომ ბრუსილოვის წარმატება, ისიც არც ისე ღირსშესანიშნავი, მხოლოდ ბუკოვინაში ხდება, სხვაფრივ დეპეშა ლაკონიურად გვაცნობებს, მთელს ფრონტზე დასავლეთ ასპარეზიდან და იტალეთიდან მაშველი ჯარები მოსდითო. თუ გავიხსენებთ წინა დღის მკაცრ ბრძოლებს, თუ დღევანდელის ბუნდოვნობას გავფანტავთ, მივიღებთ სურათს, რომ ახლა გერმანელები, მართლაც, დაადგნენ ნაცად გზას, ფალანგებით ლაშქრობას, რის შედეგებს მალე ვნახავთ...

რაც შეეხება ჩრდილოეთ ასპარეზს, აქაც საგულისხმიერო ამბები მოხდა. ზოგიერთა მიმომხილველმა ეს ბრძოლა დემონსტრაციად მოიხსენა. თუ ეს ასეა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს დემონსტრაცია, სჩანს იქიდანაც, რომ გერმანელებს ლოგიშცინის რაიონში ოგინის არხთან ისეთი საშინელი ბრძოლა მომხდარა, რომ მას შეუწირავს დიდი მსხვერპლი, სხვათა შორის რუსთა გენერალი შტეგელმანი და პოლკოვნიკი ბერგენსტროლენი. აი, ასეთს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთა დემონსტრაცია, თუ კი მართლა დღეს დემონსტრაციასთან გვაქვს საქმე, ნამდვილ ომსა სჯობიაო.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა...

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 10 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. დვინსკის მიდამოების მიხედვით სხვა და სხვა ადგილას, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა შეუტიეს, მაგრამ ყველგან უშედეგოთ. სადგურ მოლოდეჩნოში მტრის მფრინავებმა 40 ყუმბარამდე ჩამოაგდეს. 8 თიბ. ღამის 11 საათ. ოგინის არხთან ბრძოლა გაჩაღდა ლოგიშცინის მიდამოებში. გუშინ საღამოთი ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. ორთავე მხარე ცდილობდა არხში გასვლას, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო. ამ ბრძოლაში დაიჭრა სასიკვდილო გენერალი შტეგელმანი და პოლკოვნიკი ბერგენსტროლენი, რომელიც მალე გარდაიცვალა. გენ. ბრუსილოვის ასპარეზზე ახალ ადგილებშიც გაცხოველდა ბრძოლა, სხვათა შორის როდზივალოვთან. მტრის ახალი ჯარი საფრანგეთის და იტალიის ასპარეზიდან გადმოჰყავთ. ჩვენი წინსვლა ბუკოვინაში გრძელდება. სოფ. გურა-გუმორა, სტრაჟა (რადუცის დასავლეთით) და ვიშნიცის (კუტტთან) დავიჭირეთ. დღევნის დროს ხელთ ვიგდეთ 800 ტყვე. მტერი კარპატისაკენ იხევს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი,** 9 თიბათვე, საღამოს ოფიციალი. ლასინის სამხრეთ მიდამოებში გერმანელ მზვერავთა რაზმის იერიშმა უშედეგოდ ჩაიარა. მაასის ორთავ ნაპირებზე საშინელი საარტილერიო ბრძოლაა. მდინარის მარცხენა ნაპირზე, მოპირდაპირეს განსაკუთრებით მიზანში ჰქონდა ამოღებული „304"-ის სანგრები, მორტჰომის და ენ-შატანკურის მიდამონი. საღ. 6 საათ. მოპირდაპირემ უშედეგო იერიში მოიტანა „304" სიმაღლის და ბეტანკურის წყაროს შუა. ტიომონის სიმაგრის ასპარეზზე, ვოს ტყეში და ვევრში, მაასის სიმაღლის ფერდობზე საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში და მონიუტეტის მიდამოებში არტილერიის მოქმედება გაცხოველდა.

**მფრინავთა მოქმედება.** 8 თიბათვეს ღამით, ჩვენმა მფრინავებმა ქალაქ ტრირში, 18 ყუმბარა ჩამოჰყარეს, დღეს 40—კარლსრუეში, ენვილის მიდამოებში, ლიუ-ენვილის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მოპირდაპირის საფრენი ჩამოაგდო სენ-მიელის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კენიეურის სიმაგრესთან პოდპორუჩიკმა შანიუმ ორი საფრენი დააზიანა. იმავე დღეს მან კიდევ 6 საფრენი ჩამოაგდო.

**რომი.** იტალიის შტაბის ცნობა. მოწინააღმდეგემ, ლედროს ღელეში, მონტესპერონეს სამხრეთ ქედებზე მიზანს ვერ მიაღწია. გუშინ, ჰარდის ტბის და ასტიკოს შუა არტილერიის ბრძოლა მოხდა. ჩვენი არტილერია მედგრად უშენდა ტობლის სარკინისგზო სადგურს პუსტერიის ველებში. იზონცოს ასპარეზზე არსებითი არა მომხდარა რა.

**ლონდონი.** 9 თიბათვე. ოფიციალი. მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროპლანები, რომლებსაც აზრად ჰქონდათ სოფელში ყუმბარები ჩამოყარა, განდევნა. ჩვენმა მფრინავმა მტრის ორი საფრენი ძირს ჩამოაგდო. ღამე 9 თიბათვეს, ჩვენმა მფრინავთა რაზმმა აპრემონა, გრანპრე, სენტარჟა, კონსანვუასთან და ტისვილის ჩრდილოეთით ყუმბარები ჩამოყარა.

**ათინა,** 8 თიბ. ზაიმისმა მეფე ინახულა და ახალი კაბინეტის შედგენა იკისრა. მოკავშირეთა ნოტამ დიდი შთაბეჭდილება იქონია. მდგომარეობა გართულდა.

**ათინა,** 9 თიბათვე. ოფიციალი. ახალი კაბინეტის შემადგენლობა: ზაიმისი მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი, გენ. კალარის სამხედრო და დროებით გამგე საზღვაო სამინისტროსი, პოლკოვნიკი ხარლამბის—შინაგან საქმეთა მინისტრი, ფროფ. კონფენრატო—იუსტიციის მინისტრი, ლილორიკი—განათლებისა კალლიგასი—ნაციონალურ ეკონომიისა საღამოს 7 საათზე კაბინეთმა ფიცი მიიღო. პრესა და საზოგადოება ახალ კაბინეტს დიდი ნდობით შეჰხვდა.

**ლონდონი,** ინგლისის შტაბის ცნობა. ნაღმის აფეთქების შემდეგ, მტერი შემოიჭრა ჩვენს თხრილებში, მაგრამ კონტრ-იერიშით მალე დავაბრუნეთ. მტერი დიდად დაზარალდა. ღამით, ჩვენ ჰოგენცოლერნის რედუტის არემარეში ნაღმი ავაფეთქეთ. დღეს სიწყნარეა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**მოკავშირეთა მოთხოვნილება.**

ლონდონიდან „რუს. სლოვ." ატყობინებენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ათინაში მოკავშირეთა ელჩებს დაეგზავნათ ულტიმატური ხასიათის ნოტა, საბერძნეთის მთავრობისათვის გადასაცემათ. ამ ნოტას ამ დღეებში გადასცემენ.

ნოტა ერთ გვარ ბრალდებას წარმოადგენს საბერძნეთის წინააღმდეგ. მის შინაარს ოფიციალად მაშინ გამოაქვეყნებენ, როდესაც საბერძნეთის კაბინეტს წარუდგენენ.

მოკავშირეთა მოთხოვნილება იმდენად მკაცრია, რომ მისი მიხედვით კაბინეთი უნდა გადადგეს, პარლამენტი დათხოვნილ უნდა იქმნას და იმ პირთ რომელთაც მოკავშირენი საიმედოთ არა სთვლიან, საბერძნეთის მიწა-წყალი უნდა დასტოვონ.

ამგვარი მკაცრი და გადაჭრილი დიპლომატიური გამოსვლა ათინაში პირველია, ისე რომ საბერძნეთი იძულებული გახდება მოკავშირეთა მოთხოვნილებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და თავისი მდგომარეობა გამოარკვიოს.

**საბერძნეთის გარშემო.**

ბუქარესტიდან მოსულის ცნობით, 11 თიბათვეს, გერმანეთის, ავსტრიის და ბულქარეთის ელჩებმა ცალ-ცალკე ინახულეს სკუდულისი. საქმის მძიმე მდგომარეობის გამო, ბირჟის კომიტეტმა ათინაში დროებით მოქმედება შეაჩერა.

**ავსტრიაში.**

ავსტრიულ „ბელგრადსკე ნოვინე" რომელიც სერბეთში გამოდის,—იტყობინება: შეამოწმეს ომში გასაწვევად დაბადებულნი 1865—1899 წ.წ. ამავე ცნობებს იტყობინებიან საზღვარგარეთის სხვა გაზეთები.

**ჰუნგრეთი.**

ჰუნგრეთის საიარაღო ქარხანას, რომელიც ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობამ გახსნა ბოჰემიაში, სკიდის ქარხნის შემწეობით,—თვისი ძირითადი თანხა 5.400,000 მანეთიდან 16.600,000 მანეთამდე აუყვანია.

ქარხნის მიზანია, მალე მიაშველოს ჯარს მსხვილი ყალიბის ზარბაზნები.

**ვილჰელმი აღმოსავლეთ ასპარეზზე**

უკანასკნელად წამოყვანილ ტყვეების ცნობით, აღმოსავლეთის ასპარეზზე, ჰინდენბურგის ბანაკში მოსულა იმპერატორი ვილჰელმი. ჯარში სრულებით არ გამოსულა, ოფიციალი დახვედრაც არ მომხდარა. იგი თავს არ ანებებს ჰინდენბურგის ბანაკს.

**რუმინეთში.**

უკანასკნელ კრებებზე რუმინეთში სიტყვები წარმოსთქვეს: ტაკე იგნესკუ და ნიკოლოზ ფილიპესკუმ. ყველა დამოუკიდებელმა ორგანომ, მიტინგის წინა დღით, წერილები მოათავსა და მოუწოდებდნენ მიემხრონ ოთხთა კავშირს.

**რუსეთის ასპარეზი.**

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამ ასპარეზზე კვლავ დაიწყეს მოქმედება. მიაძინოდან ნაროჩამდე და ნაროჩიდან ვიძნევსკამდე ზარბაზნის საშინელი გრიალი ისმის [illegible] ქარიშხალისებურმა მოქმედებამ [illegible] სობამდე მიაღწია. ხანგრძლივ საარტილერიო მზადების შემდეგ, გერმანელები შეტევით წამოვიდნენ რუსებისკენ მაგრამ მავთულის ხლართებმა იძულებული გახადა უკუ ქცეულიყვნენ. ტბის მიდამოებში ომი კვლავ გრძელდება.

**ინგლისი.**

ლონდონიდან მოსული ცნობით, ომის დასაწყისიდან დღევანდლამდე, როგორც სავაჭრო სამრეწველოს სტატისტიკიდან ჰსჩანს—კაცის საქმეს დღეს ინგლისში 600 ათასი ქალი ასრულებს.

**კიტჩენერის მოადგილე.**

უკანასკნელ თათბირზე, სამხედრო მინისტრად ერთხმად ამოირჩიეს ლოიდ-ჯორჯი.

ლოიდ-ჯორჯის სამხედრო მინისტრად დანიშვნა მოხდება ახალ პარლამენტალურ სესიის გახსნამდე.

**გერმანეთის მდგომარეობა.**

დანიიდან იტყობინებიან: უსურსათობის გამო გერმანეთი ვერ შესძლებს წლის დამლევამდე ომის გაგრძელებას, თუმცა ამ ერთი კვირის წინად ყველაფერი საკმაო ჰქონდათ. ჯარისკაცები, რომელნიც ბრძოლის ველზე იმყოფებიან, დღემდე სრულიად უზრუნველყოფილნი არიან, სათადარიგო ჯარი კი დიდს გაჭირვებას განიცდის. არა ჰყოფნით პური და ხორცი. საბრძოლველი მასალა და იარაღი კი დიდძალი აქვთ, რომელიც მეტად დიდი ღირსებისაა.

**სიმშილი ჰოლანდიაში.**

ჰააგიდან მოსულის ცნობით ჰოლანდიაში დიდი ამბოხება გამოიწვია სიძვირემ. როტრადში სამი დღის განმავლობაში საშინელი უწეს-რიგობა ჰსუფევდა. სანოვაგე დაიტაცეს და დუქნების შუშებიც სულ ერთიანად მილეწეს.

მინისტრთა საბჭოს მიუგზავნეს ქალთა დეპუტაცია.

პოლიციამ, ახლა სასტიკად აღკრძალა დემონსტრაციების მოხდენა ხოლო ბურჰომისტრმა მოწოდებით მიჰმართა მცხოვრებლებს.

# დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**დვინსკის მიდამოების სამხრეთით მკაცრი ბრძოლაა. გერმანელები ამ ადგილას შეტევას განაგრძობენ.**

—

**ბუკოვინაში რუსები წინ მიიწევენ.**

—

**მაასის ორთავ ნაპირზე მკაცრი ბრძოლაა. მაასის სიმაღლეებთან მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.**

—

**იტალიის ელჩმა ათინაში მთავრობას ნოტა წარუდგინა.**

—

**ათინაში შეადგინეს ახალი კაბინეთი. პრემიერ მინისტრად ზაიმისია.**

# ეროვნული ვარჯიშობანი

მკითხველო, იცი თუ არა რას ნიშნავს სპარტანული აღზრდის იდეალები? ეს იმას ნიშნავს რომ დაბადებისთანავე, სანამ ჯერ კიდევ ამ ქვეყნად გაჩენას გამოიტირებდე, საგანგებოდ დანიშნულ მოხელეებს უნდა ეჩვენო, რომელნიც ხრამში გადაგაგდებენ თუ სრულიად ჯანმრთელი არა ხარ, თუ ჯანსაღი ხარ უფლება გაქვს შვიდ წლამდე დედმამის ოჯახში იცხოვრო. ამ ხნიდან კი სახელმწიფოს განკარგულებაში გადახვალ. უბრალო კარავში მოგათავსებენ შენი ჰასაკის ყმაწვილებთან ერთად. ტანთ ჩაგაცმევენ ტლანქი ტილოს ტანსაცმელს, ლოგინად მიგიჩენენ ლელის ჩალას, რომელიც შენვე უნდა მოსჭრა მდინარისა თუ ტბის პირას. ცივს წყალში, გაბანავებენ ზაფხულის პაპანაქებაში და ზამთრის ყინვაში, საზრდოთ კი ძმრიან და სისხლიან შეჭამადს მოგცემენ. გასწავლიან მუშაითობას ანუ გიმნასტიკას და სამხედრო წეს-რიგს; ამასთან ერთად ცოტაოდენ მუსიკასა და ლექსთა წყობას, რავდენათაც ეს ფიზიკური ვარჯიშობისათვის და მწყობრ სიარულისათვის არის საჭირო. წელიწადში ერთხელ მთვარის ღმერთის ტაძარში წაგიყვანენ, სადაც უწყალოდ გცემენ რათა გამოგცადონ, შეგიძლიან თუ არა ხმის ამოუღებლივ ტანჯვის ატანა. მუდამ ქალიშვილებთან ერთად იქნები სწავლისა და ვარჯიშობის დროს. მდედრობითი სქესი შენ თვალში იდუმალობას დაჰკარგავს და შენ არ გეცოდინება არც სიყვარულის ოცნება, არც სქესობრივი ნდომის თრთოლვა.

სპარტანული აღზრდის უსაზღვრო თაყვანისმცემელი არა ვარ, მაგრამ მგონია რომ ამ სისტემაში ბევრი რამ არის ჯანსაღი და მიმზიდველი. დასაგმობია პიროვნების ჩაყლაპვა სახელმწიფოს მიერ, დასაგმობია აგრეთვე ადამიანის გარდაქმნა საომარ მანქანად. მაგრამ მისაღებია ზოგიერთი მაღალი თვისებები, რომელთაც ეს აღზრდა ანვითარებს: სიმარდე, სიმამაცე, თავდუაჭერლობა, სულიერი სიფხიზლე, ნებიერობის უქონლობა. თანამედროვე ადამიანი მეტის მეტად ნებიერი გახდა. შეეჩვია უზომო ფუფუნებასა და თავდაუჭერლობას. მისი კანი ბუმბულმა და აბრეშუმმა გაანაზა და მისი სხეული ვეღარ უძლებს ჰაერისა და მზის სხივების შეხებას. ეს ერთგვარი უკანდახევაა ძველ სპარტანელებთან თუ ათინელებთან შედარებით. მზე სიცოცხლის დასაბამია. ორგანიული არსება, მხოლოდ იქ ისახება სადაც მისი სხივების სითბო და სინათლე აღწევს. ადამიანის სხეულიც მზის სხივებთან ერთად გამანახლებელ და გამახალისებელ ძალას ისრუტავს. კიდევ მეტი: შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ იდეური ცხოვრება ერთი განსაკუთრებული სახეა მსოფლიო ენერგიისა და დიდი კოსმიური ლამპრები აზრებისა და გრძნობების ელემენტებს გვიგზავნიან სხივების ტალღებთან ერთად. თუ ეს ასეა, უნდა ვეცადოთ ჩვენი სხეული რავდენათაც შესაძლებელია ზედმეტი ჩვრებისაგან გავანთავისუფლოთ. მაშინ ჩვენ გავახალგაზრდებით არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც და მოქნილ კუნთებთან ერთად აზროვნების ნაყოფიერებასაც შევიძენთ.

ცნობილია რომ კაცობრიობის ულრმესი იდეები პირველად იმ ქვეყნებში ჩაისახნენ, სადაც უხვი მზე ანათებდა: ევიპტეში, წინა აზიაში, ინდოეთში, საბერძნეთში, სიცილიაში. შემდეგ კულტურა ჩრდილოვან და ნისლიან ქვეყნებში გადავიდა, სადაც განსაკუთრებული კომფორტია საჭირო ადამიანური ცხოვრების შესანარჩუნებლად; კარგად მოწყობილი ბინა, თბილი ტანთსაცმელი, უხვი საჭმელ-სასმელი. ამ კომფორტის მოთხოვნილებამ გამოიწვია ნივთიერი კულტურის უმაგალითო აყვავება, რითაც თანამედროვე ევროპა სამართლიანად ამაყობს. მაგრამ პიროვნების შინაგანი ცხოვრება აგრე რიგად როდი გაზდილა. ერთგვარი საფრთხეც არსებობს: უსულო საგანმა ბოლოს ცოცხალი არსება არ ჩაყლაპოს. ჩრდილოელი ადამიანი ხშირად სრულიად უმწეოდ სდგას იმ უზარმაზარი ქალაქებისა, მაღაზიებისა და მანქანების ჩრდილში, მისმა ენერგიამ რომ შექმნა. შესაძლებელია რომ კაცობრიობის კულტურა ხელახლა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ კერას სამხრეთში. სამხრეთელი ადამიანის მოთხოვნილება უფრო მარტივი და განსაზღვრულია. ეს შეიძლება ერთის მხრით მისი ნაკლი იყოს, მაგრამ მეორე მხრით ღირსებაც არის: უსულო საგნები მას ნაკლებ ჰფლობენ. რით იკვებებოდნენ ძველი ბერძნები? ზეთითა და ხილით. რა სჭიროდა ძველ ქართველს: პური და ღვინო, ცოტა ყველი და ცოტა წვანილი. მაგრამ ბერძნებს ჰომიროსი ჰყავდათ და ალექსანდრე მაკედონელი, ხოლო ქართველებს რუსთველი და დავით აღმაშენებელი. ყოველს ერს როდი შეუძლიან ასეთი შვილებით დაიკვეხოს.

თანამედროვე ევროპიელები უბრუნდებიან კლასიკური აღზრდის იდეალებს. სულისა და სხეულის თანაბარს განვითარებაში რომ მდგომარეობდა. დიდთავიანი და მკერდჩავარდნილი თაობა ადგილს უთმობს ახალ ადამიანებს, რომელნიც სპორტითა და მუშაითობით არიან გატაცებულნი. ესენი ჩვეულებრივ ზნეობრივადაც უფრო მაღლა სდგანან მიტომ რომ უფრო სასტიკნი არიან თავისთავთან და ლმობიერნი სხვების წინაშე. კლიმატიური პირობების გამო ყველგან არ შეიძლება მარტივი კლასიკური წამოსასხამისა და წაღების აღდგენა. ამის წინააღმდეგ ზნე-ჩვეულებაც ამხედრდებოდა. მაგრამ ბურთაობისა, ნაოსნობისა ან სირბილის დროს შესაძლებელიც არის და საჭიროც სხეულის ნახევრად გატიტვლება მოძრაობათა თავისუფლების მისაღწევად. ამით იგებს არა მარტო ჰიგიენა, არამედ ესთეტიკაც: ერთი უმშვენიერესი სანახაობა მზის სხივებში გახვეული ვაჟკაცია.

შეიძლება მკითხველმა იცოდეს რა დიდი როლი ითამაშეს გიმნასტიურმა საზოგადოებებმა, ეგრეთ წოდებულმა შევარდენმა, ზოგიერთი დაბეჩავებული სლავიანური ხალხის, განსაკუთრებით ჩეხების ცხოვრებაში. ნახევარი საუკუნის წინათ ჩეხები კიდევ უფრო დაქვეითებული იყვნენ ვიდრე დღეს ქართველები ვართ. დედა ენა დავიწყებული ჰქონდა არა მარტო ინტელიგენციას, არამედ ხალხის დიდს ნაწილსაც. ისტორია მხოლოდ ორიოდე მეცნიერს ახსოვდა. თუ დღეს ჩეხები გერმანელებს ძალოვანად ეჭიშპებიან ეკონომიურსა და კულტურულს ასპარეზზე, ეს სხვათა შორის შევარდნების მოქმედების შედეგიც არის. მათ შეუწყვეს ხელი სამშობლოს ზნეობრივსა და ფიზიკურ გამოფხიზლებას. მაგრამ არსად არ არის მუშაითობა და სპორტი ისე განვითარებული, როგორც გერმანიასა, ინგლისსა, ჩრდილო ამერიკასა და სკანდინავიის ქვეყნებში. თითქო ამ ქვეყნების მკვიდრნი სცდილობენ ბუნების სიძუნწე ხელოვნური საშუალებებით აინაზღაურონ. გერმანიაში არსებობს ეროვნული კავშირი სატურნირო და სასპორტო საზოგადოებათა. ამ კავშირში სამი წლის წინათ თითქმის თორმეტი ათასი საზოგადოება შედიოდა, რომელშიც მილიონ ნახევარი წევრი ირიცხებოდა. კავშირის დევიზია: ყოველი გერმანელი გიმნასტი უნდა გახდეს, ან სპორტმენი!

შეიძლება დღევანდელ ქართველებს გვეუცხოვოს ეს იდეალები. ჩვენ გვგონია რომ სირთუკის გახდა, ტრიკოს ჩაცმა და ბურთის თამაში არ შეეფერება ისეთ ღრმა პოლიტიკოსებსა და სოციალურ რეფორმატორებს როგორიც ჩვენ ვართ. ჩვენი წინაპრები ასე როდი ჰფიქრობდნენ. მათ უყვარდათ ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ერთგვარ გასართობსაც წარმოადგენდა და სამზადისსაც სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის. გაიხსენეთ რას ითხოვს მეფე არჩილი კარგად გაზრდილი მამაკაცისგან:

ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის
ბურთისა გამოჭრა,
ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, ომის
დროს ფიცხლად გადმოჭრა,
მოპაიტობა, სახმობის ამორთმა, ხურდის ამოჭრა.
ხმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგან ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეებისა,
ისარი სხვილი და გძელი, ხელთ არ
დადება უბისა
ვისცა არ აქვს, უძრახვენ, სხვაგან
სხვას მიუუბნისა.

როგორც სჩანს ძველს საქართველოში მეფის წულებიც ღებულობდნენ საგანგებო ფიზიკურ აღზრდას. ამას სხვათა შორის „ვეფხის ტყაოსანიც" ამტკიცებს. როცა ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხეს მიადგებიან, უკანასკნელი ურჩევს თავის ამხანაგებს, რომ სიმაგრის აღება მის ხერხს მიანდონ:

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუ-
შაითოდ მზრდიდიან,

3 თიბათვეს ოსმალეთის ასპარეზზედ გმირულად მოკლულ იქმნა

**პოდპორ. სიკო ალექსის ძე**

# ბრაგვაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ დები **სალომე, მარიამი, ნინო; ძმები: გაბრიელი, შაქრო, დიმიტრი, სტეფანე, გიორგი, ვლადიმერი და ნიკოლოზი ალექსის ძენი ბრაგვაძენი და სიძე ივანე ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე.**

მიცვალებულს წაასვენებენ დღეს, 12 თიბათვეს, კახეთის რკინის გზის მატარებლით სოფ. **ურიათ უბანში**, სადაც დაკრძალავენ სამშაბათს, 14 თიბათვეს. (1—218—1)

გულთათუქულნი მშობლები ანნა ანდრიას ასული და ვასილ სპირიდონის ძე ბარკალაია და დაი და ძმანი, ბაბილინა, ვასიკო და კაკო, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, უდროვოდ გარდაცვალებას პირველი უძვირფასესი და უსაყვარლესი ასულისას და უკანასკნელი დაუვიწყარი დისას, თბილისის საქალებო გიმნაზიის მოწაფის

# თამარისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

# ახალი ამბავი

**ირ. ევდოშვილის პანაშვიდი.** დღეს, 12 თიბათვეს, გარდაცვალების ორმოცის თავზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ირ. ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე.

✦ **დეპუტატებად შავშეთ-იმერხევის** სიტყვიერ სასამართლოში მეფის ნაცვლის მიერ სამის წლის ვადით დამტკიცებულ იქმნა სოფ. მორგელის მცხოვრები შევკერ ასლან-ბეგ-ოღლი გოგოსიძე და სოფ. ხევწვრილის მცხოვრები თორუნ ეფენდი ფანჩიძე.

✦ **თბ. თ-დ აზნ. მაზრის** წინამძღოლის თანაშემწე თ-დი ნიკ. ე. ქობულაშვილი თანახმად თხოვნისა დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობისაგან.

✦ **მომღერალი ივ. სარაჯიშვილი** თბილისს ჩამოვიდა. საზაფხულოდ ბ. სარაჯიშვილს „ახალ კლუბის" გამგეობა იწვევს საგასტროლოდ.

✦ **საექსპორტო კანტორა.** თბილისში მიღებულ ცნობის თანახმად ქ. მარსელში ბესარიონ დემურიას დაუარსებია საკომისიონერო კანტორა, რომელიც იკისრებს კავკასიიდან სხვა და სხვა საქონლის ზიდვას. აგრეთვე კანტორა კისრულობს შუამდგომლობას გამოგზავნოს კავკასიაში საფრანგეთის ნაწარმოები საქონელი. კანტორა მარსელშია. მისი ადრესი; 16, Lemeitr, Marseli.

✦ **„სამშობლო".** ხვალ, 13 თიბათვეს, ხელოსანთა კლუბში ნაძალადევის წრის სცენის მოყვარეთა მიერ დამსახურებულ მსახიობთა ბბ. ვ. გამყრელიძის და გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „სამშობლო".

✦ **რეზოლიუციის გამოტანა.** ლარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა კრებამ დაამთავრა სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა და დაადგინა უარჰყოს მოხსენების დასკვნა.

✦ **ახალი გამოგონება.** ივ. ბალიაშვილმა, ხელობით დურგალმა, გამოიგონა ახალი სისტემის წისქვილი, რაზედაც უკვე აულია პრივილეგია. ეხლა ეძებს შეძლებულ პირს ან ვინმე ინჟენერს, ვისთანაც ერთად შესძლებდეს თავის გამოგონების განხორციელებას.

✦ **გამოფენა ქართულ გიმნაზიაში.** თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში 11 თიბათვიდან გაიხსნა მოსწავლეთა სურათ-ნახატების გამოფენა, რომელიც გასტანს 17 თიბათვემდე. დათვალიერება შეიძლება დილის 10—2 საათამდე.

✦ **ექსკურსია.** ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოება დღეს პირველს ექსკურსიასა ჰმართავს მცხეთის სიძველეთა დასათვალიერებლად. მონაწილეობას მიიღება ყველას შეუძლიან. მონაწილენი უნდა გამოცხადნენ თბილისის რკინის გზის სადგურზე და თვითონვე აიღონ ბილეთები იმ მატარებელზე, რომელიც დილის 9 საათზე გადის მცხეთისკენ (ადგილობრივი დრო). ყველას თან უნდა ჰქონდეს საჭირო საგზალი.

✦ **სიონის ტაძართან** არსებულ ღვთის მშობლის ძმობის თავმჯდომარედ ნაცვლად ეპისკ. ანტონისა, რომელმაც უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქმნა დეკ. მ. ტყემალაძე.

✦ **საზაფხულო საღამო** ახალ კლუბის" საზაფხულო ბაღში დაიწყება 19 თიბათვიდან.

✦ **საგანგებო კრება** „ახალ კლუბის" წევრთა დანიშნულია 20 თიბათვეს.

✦ **ქართულ კულტ. მოყვ. საზოგადოება.** 10 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, ქართ. კულტურ. მოყვ. საზოგადოებამ საგანგებოდ სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის გამართა კრება, რომელსაც დიდძალი მასწავლებლები დაესწრნენ. ბ-ნმა ს. ქვარიანმა წაიკითხა მოხსენება—„საზოგადო მიმოხილვა ქართველი ერის შესახებ" და ბ-ნმა გ. ჟორდანიამ—„ძველი ადათები და ჩვეულებანი საქართველოში და მათი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესასწავლად". ორივე მოხსენება დიდად მოეწონა დამსწრე საზოგადოებას და ლექტორები ტაშით დააჯილდოვა. შემდეგ გაიმართა კამათი, განსაკუთრებით ბ-ნ ჟორდანიას მოხსენების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმაც.

✦ **სეირნობა.** დღეს ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა „ედემის" ბაღში მართავს მეტად საგულისხმიერო პროგრამით სეირნობას.

✦ **შეიპყრო** თბ. პოლიციამ გამოქცეული ჯარის კაცი გრიგოლ ეგიშეს ძე ზოროგოვი და ვასილი ისაკის ძე სააქოვი, რომელიც სამხედრო უფროსს წარუდგინეს.

✦ **სტუდენტი დარჩია.** ქერმანშახის ოლქში გარდაიცვალა თვის კეთილშობილურ მოვალეობის ასრულების დროს დეზინფექტორი სტუდენტი დარჩია, თბილისის მცხოვრები.

✦ **კოოპერაციის ბიუროს კრება.** დღეს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კოოპერატიულ ბიუროს წევრთა კრებაა დანიშნული. კრებაზე ინსტრუქტორი კ. პ. კანდელაკი წაიკითხავს მოხსენებას ბიუროს მუშაობის შესახებ. შემდეგ განხილულ იქმნება 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" მორიგი მე-5 ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივად საინტერესოდაა შედგენილი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტთა** საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს 19 თიბათვეს საზოგადოების წევრთა კრება 1915—1916 წლის მოქმედების ანგარიშის განსახილველად, სარევიზიო კომისიის ასარჩევად და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის დასამტკიცებლად. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა ლექციების კითხვა შეაჩეროს სახელოსნო კლუბში. აგრეთვე დადგენილ იქმნა ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ საზოგადოებას გაუდიდოს სუბსიდია.

✦ **სიძვირესთან ბრძოლა.** დღეს დილის 11 საათზე საბირჟო კომიტეტში დანიშნულია თბ. ვაჭართა კრება სპეკულიანტებთან და სიძვირესთან საბრძოლველ ღონისძიებათა გამოსაძებნათ.

✦ **ოპერეტა.** კვირას, 12 თიბათვეს, ხარფუხის კლუბში რუსული ტრუპის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქმნება მხიარული მუსიკალური ოპერეტა „მეფე მხიარულობს", დიდი კონცერტი. ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

✦ **ივ. ჯავახიშვილის ლექცია.** დღეს ახალ კლუბის დარბაზში პროფესორი ივ. ჯავახიშვილი ქართველ ხელოვანთა საზოგადოების სასარგებლოდ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „ქართულ ხელოვნების ისტორიიდან". შინაარსი: 1) ქართული ხუროთ-მოძღვრება; 2) მხატვრობა—განსაკუთრებით ისტორიული; 3) მჭედლობა; 4) ტანისამოსი და თავსაკრავები. ლექცია დილით სრულ 12 საათზე დაიწყება.

✦ **საეკლესიო მუზეუმი.** სასინოდო კანტორის დადგენილების თანახმად ქართულ სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი გადატანილ იქმნება დიდუბის ტაძრის და ქართველ საექსარხოსოს სამრევლოების კრებულთა საფასით.

✦ **მეფუტკრეობის კურსები,** რომელიც სასულიერო უწყების მსახურთათვის გაიმართა კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან, გასტანს მკათათვის შუა რიცხვებამდის.

**დ. ჩოხატაური.**

სამშაბათს, თიბათვის 7-ს, ღამით სოფ. ამაღლებაში სტრაჟნიკებმა მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი მეგრელიშვილი, რომელიც ამას წინად ბათომში ფულის გატაცებაში მონაწილეობდა და რომელსაც პოლიცია გაფაციცებით დასდევდა. ეს ყაჩაღი თურმე თავის ორი ამხანაგით მოდიოდა და სტრაჟნიკებს სროლით უპასუხა. მისი ამხანაგები გაიქცნენ. მოკლულის გვამი მეორე დღეს ჩოხატაურში მოასვენეს სადაც იმისი დედ-მამა და ოჯახობა სცხოვრობს.

**ს. აგარა (ზედა აჭარა).**

აქ ამოვიდა ბ. ი. გულისაშვილი, რომელსაც დაათვალიერა აგარაში საქ. საზ. ახლად გახსნილი სასწავლებელი. აირჩია სასწავლებლის შენობის ასაგები ალაგი; შემოდგომიდან უნდა შეუდგენ თვით შენობის აგებას. სასწავლებელში სწავლა შესწყვიტეს შემოდგომამდე და ამ სასწავლებლის მასწავლებელი ე. ქუთათელაძისა გადაყვანილ იქმნა დროებით ჩხუტუნეთის სასწავლებელში.

— მეცადინეობა ყველა სასწავლებლებში შეწყდა ენკენისთვემდე. გამოცდა გარდა ხულოს ორ კლასიანი სასწავლებლისა, არსად არ ყოფილა. ხულოს ორ კლასიანი სასწავლებელი ამ წელს ორმა მოწაფემ დაამთავრა: ალალო საზრევანიძემ და ს ულეიმან მელაძემ. პირველი აპირებს სწავლა განაგრძოს და ბ. ი. გულისაშვილმა დააპირა სასწავლებელში მიაღებინოს, მეორე კი მუშაობს საქ. საზ. გახსნილ სახელოსნოში რომელიც არის ხულოს და ხელობის შესწავლას აპირობს.

# გემის დაღუპვა შავ ზღვაზე

(პეტრ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ოდესა.** 9 ივნისს ოდესელებს ცუდი დღე გაუთენდათ. ამ დილას ოდესიდან ნიკოლაევისაკენ გავიდა გემები „პოტიომკინი", რომელზედაც 800 მოგზაური იყო და „მერკური" ხერსონისაკენ. უკანასკნელზე ექვსასი კაცი ყოფილან საზაფხულოდ გამგზავრებული მოსწავლენი და ექსკურსია. შუადღისას ქალაქში ხმა გავარდა, გემი დაიღუპა ზღვაზეო, მაგრამ რომელი ჯერ არ იცოდნენ. ოჩაკოვიდან ცნობა მოვიდა, რომ „პოტიომკინმა" მშვიდობით მოაღწია აქამდინაო. ეჭვი აღარ იყო, რომ დაიღუპა „მერკური". უბედურება მომხდარა ოდესიდან ოცის ვერსის მანძილზე, სოფელ გრიგორიევკასთან. გემი, ეტყობა, წყალქვეშა ნავს დაუღუპავს. „პოტიომკინს" დაუნახავს „მერკურის" აფეთქება, მაგრამ ვერ მიშველებია წყალ-ქვეშა ნავის შიშით. გამოქვეყნებულია გადარჩენილთა სია, სადაც 164 გვარია მოხსენებული. სოფელ გრიგორიევკასთან 27 გვამი გარიყა. მგზავრთა გადარჩენას ხელს უშლიდა ზღვის ღელვა. დაღუპულ გემიდან პატარა ნავები ჩაუშვიათ, მაგრამ ტალღებს გადაუბრუნებიათ. ზოგიერთები გრიგორიევკიდან ავტომობილებით ჩამოიყვანეს. შეკრებილ ცნობების მიხედვით უმრავლესობა გადარჩენილია.

# დამფუძნებელი კრება

**თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისა**

**8 თიბათვე.**

კრების წინ **ლადო ბზვანელმა** მასწავლებელთ მიულოცა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა საზოგადოების და ჟურნალ „სკოლა და ოჯახის" სახელით.

ბ. ტ. უზნაძემ მიულოცა „სინათლის" სახელით.

ნაწილი სახალხო მასწავლებლებისა მოითხოვს განხილულ იქმნას გამგეობის წევრთა არჩევნები.

დარბაზში ხმაურობაა.

**თავმჯდომარე** ცდილობს მასწავლებლების დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ, ორთავე მხარე ცხარობს. საქმის გამორკვევა შეუძლებელი ხდება, კამათი თითქმის 4 საათამდე გრძელდება. საკითხის გადაწყვეტა მეორე დღისათვის გადაიდო.

**9 თიბათვე.**

თავმჯდომარე **ბ. გ. ბურჯანაძე** ათის ნახევარზე კრებასა ხსნის.

**ბ. ევგ. მარტინოვსკი** კითხულობს მოხსენებას. სასკოლო რაზმების შედგენა, გადამდებ სნეულებათა გამავრცელებელ მწერთა წინაამდეგ საბრძოლველად.

მოხსენების შემდეგ კვლავ კამათი იმართება არჩევნების შესახებ.

კვლავ ხმაურებაა და არევ დარევა. ერთი ჯგუფი მოითხოვს წაკითხულ იქმნას განცხადება, რომელსაც ხელს აწერს 95 მასწავლებელი და აღნიშნავენ გამგეობის წევრთა არჩევნების უკანონობას.

**ბ. კარბელაშვილი** ასაბუთებს არჩევნების უკანონობას. მოითხოვენ ფარული კენჭის ყრით. ამ ჯგუფის განცხადება არ შეიწყნარეს: რის შემდეგაც მათ დარბაზი დასტოვეს.

მასწავლებელთა შორის მთელი დღე არჩევნების შესახებაა ლაპარაკი. კრებაა, მასწავლებლები ოთხ საათამდე დარბაზს არა სტოვებენ.

6 საათზე მასწავლებლებმა საბოტანიკო ბაღი დაათვალიერეს.

ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგადოების მასწავლებლებმა [illegible] ლობის სკოლა დაათვალიერეს. აქ ქ-ნმა წერეთლისამ [illegible] წაიკითხა.

**10 თიბათვე.**

დილით ორი ლექცია წაიკითხეს.

საგულისხმიერო ლექცია წაიკითხა **ბ. ტ. უზნაძემ**, რომელიც საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

ლექციის შემდეგ 15 წ. შესწყდა კრება.

თავმჯდომარე სთხოვს ყოველ ეროვნების მიხედვით სექციებათ დაიყოს და გამგეობა ამოირჩიონ.

კამათია იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სექციასა და გამგეობის შორის. ეს საკითხი საბოლოვოდ არ გადასწყდა.

გამოირკვა: ეროვნული სექციები ავტონომიურად აწარმოებენ საქმეს; სექციის წარმომადგენელი ესწრება გამგეობის კრებებს და სხვ.

სულ ოთხი სექციაა: ქართული, რუსული, სომხური და ებრაელთა.

რადგანაც ქართველები დიდ უმრავლესობას შეადგენენ, 300 წევრმა 225 კაცი ქართველია, ამისათვის ქართული სექციის კრებამ ფართო ხასიათი მიიღო.

სექციის გამგეობის არჩევნებმაც ჯგუფობრივი ხასიათი მიიღო.

წაიკითხეს ორი სია გამგეობაში ასარჩევად.

სექციის გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირნი: ბ.ბ. ლ. ჩიმაკაძე, არდაზიანი, ხმიადაშვილი, ქ-ნნი მ. წერეთლისა და თ. ჩიჯავაძე.

დასელების სიამ მხოლოდ 15-მდე ხმა მიიღო. მასწავლებლები განცვიფრებულნი ეკითხებიან ერთმანეთს, როგორ მოხდა რომ დასელებს ქართველ მასწავლებლებში თითქმის მომხრეთა რიცხვი არა ჰყოლიათ და მასწავლებელთა საზოგადოებაში გამგეობის წევრებათ თავიანთი კანდიდატები გაიყვანეს. პირველ სათზე კრება დაიშალა. მასწავლებლები მიეშურებიან დიდუბეში სადაც იაკ. გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად უნდა გადაიხადონ პანაშვიდი. პანაშვიდი 2 საათზე დაიწყო. გალობდა ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი.

სასაფლაოზე ოთხი სიტყვა წარმოსთქვეს, ორატორები აღნიშნავდნენ იაკ. გოგებაშვილის ღვაწლს და ურჩევდნენ მასწავლებელთ მისი ანდერძისათვის არ ეღალატნათ.

მასწავლებელთა უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი კრება დანიშნულია სახალხო სახლში 11 თიბათვეს პირველ საათზე.

მასწავლებელთა საზოგადოებასთან პროვინციაში შემდეგი განყოფილებები დაარსდა: თელავის, სიღნაღის, დუშეთის, გორის, ბორჩალოს და ახალციხის მაზრებისა. გარდა ამისა ხაშურსა და სურამშიაც დაარსდა განყოფილებები.

**სამწუხარო შეცდომა.** ანგარიშებში შეცდომით იყო მოხსენებული: „მასწავლებელმა თ-დი ალ. ყაზბეგმა სიტყვით მიჰმართა და სხ. უნდა ყოფილიყო: მასწავლებელთ წ.-კ. ს. გამგ. თავმჯდ. ბ. გ. ყაზბეგმა სიტყვით მიჰმართა და სხვ.

---

მასწავლეს მათნი საქმენი, მახტუნებდნიან, მწვრთნიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან;
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიც ინატრიდიან.
აწ ვინცა იცით უკეთა შეტყორცნა საგდებელისა,
მას ზედა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გძელისა;
მას ზედა გავლა ადვილად მიჩანს მართ ვითა ველისა,
თქვენ ჭირად გიყო შიგნითა პოვნა კაცისა მრთელისა.

არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც დიდს ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობას და თამაშობას. უცხოელი მოგზაურებიც ადასტურებენ ამ მოვლენას. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოში მრავლად მოდიოდნენ იტალიელები, მისიონერი ბერები. ერთმა მათგანმა არქანჯელო ლამბერტიმ დაგვიტოვა მეტის მეტად საინტერესო აღწერა მაშინდელ სამეგრელოს ყოფაცხოვრებისა და პოლიტიკური ვითარებისა, ხოლო მეორემ, ქრისტეფორე კასტელიმ მთელი ალბომი საკუთარი ხელით დახატული პორტრეტებისა და საჟანრო სურათებისა.[1]) ამ წყაროების შემწეობით ნათლად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ჩვენი ზოგიერთი ძველებური ვარჯიშობა.

არქანჯელო ლამბერტი ამბობს რომ სამეგრელოში განსაკუთრებით ორი ეროვნული ვარჯიშობაა გავრცელებული: ბურთაობა და ნიშანში შვილდ-ისრის სროლა. პირველი სწარმოებს ამ რიგად: „ერთ ერთ ფართო მინდორში, სადაც ცხენი თავისუფლად გაჰქენდება ათიოდე ცხენოსანი შეიკრიბებიან... თვითეულ მათგანს ხელში უჭირავს ჩოგანი, რომლის ტარს ოთხი ან ხუთი მტკაველი სიგრძე აქვს. ჩოგანი ამოქსოვილია საბელით, როგორც ჩვენში იციან; ხოლო ერთი მხრით ხის პირი აქვს და სრულიად გაშლილია რათა ამ მხრით ბურთის მიწაზე აღება უფრო ადვილი იყოს. თამაშობა შემდეგში მდგომარეობს: ვარჯიშობის დამწყები ბურთს ჩოგანზე დაიდებს და ცხენს გააჭენებს. სხვებიც დაედევნებიან ერთი მეორეს მიყოლებით ჩოგნებით აღჭურვილნი. პირველი მოთამაშე ბურთს თავის წინ მაღლა ააგდებს, ისე რომ მიუსწროს როცა ძირს დავარდნილი ბურთი ხელმეორედ ახტება და ჩოგნით უკან გადაისროლოს. თვითეული მოთამაშე ამ ბურთისაკენ მიაჭენებს ცხენს და სცდილობს სხვებზე ადრე დაიჭიროს ჩოგნით ცხენიდან ჩამოუხტომელად. ბურთის დამჭერი სათავეში მოექცევა დანარჩენ მოთამაშეებს და იმნაირადვე იმოქმედებს როგორც პირველად მოქმედობდა. მერმე სხვები სცდილობენ ბურთის დაჭერას და ამრიგად ატარებენ დროს საღამომდე. ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდათ გასართობი".

ეს აღწერა კარგად უდგება კასტელის წიერ დახატულ სურათს, რომელსაც ქვეშ „ქართველ ცხენოსანთა ბურთის თამაში" აწერია [2]).

მეორე ვარჯიშობას არქანჯელო ლამბერტი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „შეჰკრავენ ორ ძლიერ გრძელ სარს ანძის მსგავსად და დაასობენ ფართო მოედანზე. ზევითა წვერზე პატარა რგვალ ფიცარს მიამაგრებენ, დაახლოვებით ოთხი თითის სიგანისას. ასეთ ყაბახს სამეგრელოს დიდებულნი თავადები ჩვეულებრივ თავიანთ ეზოში აღმართავენ და როცა თამაშობა მოესურვებათ, ხსენებულ ფიცარზე ვერცხლის თასს დასდებენ. შემდეგ მოიწვევენ შვილდ-ისრით შეიარაღებულ ცხენოსნებს. ესენი ერთი მეორეს მიყოლებით ყაბახისკენ გააჭენებენ ცხენებს. როცა ცხენოსანი ყაბახს მიუახლოვდება შვილდ-ისარს მომართავს და თასს დაუმიზნებს, ცხენის შეუჩერებლად. თასი იმისია ვინც ძირს ჩამოაგდებს".

ამ აღწერის ილუსტრაციას წარმოადგენს მეორე სურათი კასტელისა, რომელსაც „ცხენოსანთა თამაში" ჰქვიან [3]). სხვათა შორის თვით პატრი კასტელის თავის ნახატის ქვეშ შემდეგი წარწერა მოუთავსებია: „ამ თამაშში საჭიროა დიდი სიმარდე და ისეთი დამიზნება, რომ მეტ-ნაკლები არ მოვიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშე მყისვე გაჭენებული ცხენიდან გადმოვარდება".

კასტელის სურათებზე სხვათა შორის კარგად სჩანს ერთი მეტის-მეტად დამახასიათებელი მოვლენა; მოთამაშეთა ტანთსაცმელის კლასიური სიმარტივე. ზოგიერთი მონაწილის სხეული თითქმის სანახევროდ გატიტვლებულია. შეიძლება იტალიელ პატრს ამ მხრივ ოდნავ გადაეჭარბებინოს დანახული სინამდვილე; ყოველს შემთხვევაში უეჭველია რომ ეს სურათები ფანტაზიის ნაყოფი არ არის და საერთოდ დაკვირვებაზეა დაფუძნებული. უცილობელია ისიც რომ ჩვენს წინაპრებს მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც კი შერჩენილი ჰქონიათ ჯანსაღი სხეულის გრძნობა. ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

შემდეგ ის გრძნობა მიჩლუნგდა. ქართველობა თანდათან მოდუნდა ფიზიკურად. დამახასიათებელია რომ ბოლოს მას მოევლინა მეფე, რომელსაც ზაქის ჭამა უყვარდა და ნადირობა სძაგდა, რომელიც ყოველს დღეს ცისკრით მოსმენით იწყებდა და სერობით ათავებდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომანტიკოსი მგოსანი სევდით უცქეროდა დაცალიერებულ სავარჯიშო ასპარეზს:

მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვაყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნის ტაცება, ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად.
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა.

მეოცე საუკუნის ქართველობა კიდევ უფრო დაბლა სდგას ფიზიკური აღზრდისა და გაწვრთნის მხრივ. საკუთარი გულ-გრილობისა და უცხო კულტურის გავლენის ქვეშ გაჰქრა ბევრი რამ რასაც ამდენი მრავალფერადობა შეჰქონდა ყოველდღიურს ცხოვრებაში: ყეენობა, ბურთაობა, ჯირითი, კრივი და სხ... მათი ადგილი უაზრო ლოტომ, ნარდმა და ქაღალდმა დაიჭირა. რით ჩამოუვარდება ჩვენი კრივი ინგლისურს ბოქსს ან ჩვენი ჩოგნის შემოკვრა იქაურ ტენისს? თანამედროვე ქართველობაში თანდათან ისპობა ძველად ქებული ახოვანობა, სილაზათე და ჯანსაღობა. ეს ძლიერ დამაფიქრებელი მოვლენაა: საერთაშორისო შეჯიბრებაში ფიზიკური ძალა დიდს შანსს იძლევა საბოლოო გამარჯვებისათვის. ვისაც ეს ძალა არ შესწევს, მარცხდება სხვა უპირატესობების მიუხედავად. ისტორიკოსები ამბობენ რომ პოლიტიკური დაცემის ხანაში რომაელი ჯარისკაცები ველარ სძლებდნენ ძველებური მძიმე მუზარადების ტარებას. მთავრობა იძულებული იყო უფრო მჩატე თავსახურავი შემოეღო. ამ ცვლილებას სიმპტომატიური მნიშვნელობა ჰქონდა: შემოსეულმა გერმანელმა ბარბაროსებმა ჩქარა დაამარცხეს რომაული ლეგიონები და იმპერია გაანადგურეს. გერმანელი ურდოები კულტურულად ბევრით დაბლა იდგნენ რომაელებზე, მაგრამ ფიზიკური ძალით სჯობდნენ.

შეგვიძლიან თუ არა დღეს ჩვენ ძველებური წვრილთვალა და მუზარადი ვატაროთ? მართალია ასეთი ტანსაცმელი აღარ გვჭირია, მაგრამ კიდეც რომ გვჭიროდეს მის სიმძიმეს ვერ გაუძლებდით: მეტის მეტად დაძაბუნებული ვართ ფიზიკურად. ძველებური ქართული ვარჯიშობისა და მუშაითობის აღდგენა ერთი უდიდესი ეროვნული ვალდებულებაა. მხოლოდ მათი ხასიათი უნდა შეუფარდდეს დროების მოთხოვნილებას. ძველს საქართველოში სპორტს მხოლოდ არისტოკრატია მისდევდა. დღეს უწინარეს ყოვლისა დემოკრატიასა და ინტელიგენციას ესაჭიროება ფიზიკური გამაგრება და განახლება: განსაკუთრებით მუშებსა, წვრილ ხელოსნებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც ხშირად მთელს დღეს უჰაერო და უსინათლო ქარხნებსა, სარდაფებსა და სახელოსნოებში ატარებენ. მათთვის სპორტი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხია. ევროპაში უმეტეს ნაწილად ქალაქის დემოკრატია იძლევა საუკეთესო სპორტსმენებსა და გიმნასტებს.

ევროპიელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხი არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომელნიც დავიწყებულნი არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალს ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულს კულტურაში; ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილაზათესა და ჯანსაღობას დაუბრუნებს.

**გერონტი ქიქოძე.**

---

[1]) ა. ლამბერტის წიგნი „სამეგრელოს აღწერა" იტალიურიდან ა. ჭყონიამ გადმოთარგმნა, ქ. კასტელის სურათები, რომელნიც პალერმოს სამოქალაქო ბიბლიოტეკაში ინახებიან, ფოტოგრაფიულად გადმოიღო პატრმა მ. თამარაშვილმა.

[2]) იხ, „საქართველოს" დღევანდელი სურათიანი დამატება.

[3]) იხ. იქვე.

# ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება

8 თიბათვე

**საიდუმლო ბარათები.**

8 თიბათვეს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, ხალხით გაიჭედა ქართული გიმნაზიის დიდი დარბაზი. თავმჯდომარემ გახსნა კრება, რომელშიაც აღმოჩნდა ცალ-ცალკე ქაღალდზე დაწერილი ჩვენება 10 კაცისა: 1) გურგენიძის ქვრივისა, 2) სპ. ბაქრაძისა, 3) ივ. რატიშვილისა, 4) პ. მირიანაშვილისა, 5) გიორგი ყაზბეგისა (ხელმოუწერელი), 6) პ. გვერდწითელისა, 7) ა. მიქაბერიძისა, 8) დ. ჯორჯაძისა, 9) გ. მალალაშვილისა და 10) თავ. კ. ნ. აფხაზისა. ეს ჩვენებანი წაიკითხა კომისიის თავმჯდომარემ გენ. კობიაშვილმა. წაკითხვამ დიდხანს გასტანა.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ კრება განახლდა და თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკვე 11 საათია და დღეს კამათის დრო აღარ არის. თუ ისურვებთ კომიტეტი თავისს აზრს მოგახსენებთ კომისიის მოხსენების შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ კამათს არ გამართავთ.

**პრ. ივ. ჯავახიშვილი** (თავმჯდომარეს). რასაც ილაპარაკებს თქვენგანი, ეს მთელი კომიტეტის სახელით იქნება, თუ კერძოდ ერთი წევრისა?

**თავმჯ. პ. გვერდწითელი.** კომიტეტში ამ ჟამად მხოლოდ 3 კაცი ვართ და სამივეს სახელით იქნება თქმული.

**ბ-ნი კ. ჯაფარიძე.** კამათი უნდა იქნას, რადგან ჩვენებათა წაკითხვამ სხვა სურათი გადაგვიშალა. აქ პანამა ყოფილა. შეიძლება რამდენიმე კაცი მიეცეს პასუხის გებაში.

**თავ. ი. აფხაზი.** ჯერ უნდა მოუსმინოთ გამგე კომიტეტს. რა ვიცით, რას იტყვის. იქნებ სრულებით არ დარჩეს კამათი საჭირო.

**თავმჯ. პ. გვერდწითელი** ლაპარაკობს კომიტეტის სახელით. ორატორმა ვრცელი დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია:

1) მდივანს აბრალებენ, რომ ტურიაშვილის ნაანდერძევი 2,500 მან. წამოიღო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებიდან და კომიტეტს არ გადასცაო. ეს ბრალდება, ორატორის სიტყვით, ტყუილია. ფული მართლაც წამოიღო ბ-ნმა მდივანმა და დანიშნულებისამებრ თავის დროზე კიდევაც გადასცა გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. პ. ი. თუმანიშვილს, რომელისაგანაც მას ბარათი აქვს მიცემული. ეს ბარათი აქ არის საქმეში. ბევრმა იმ ბარათის არსებობა დიდი ხანია იცის, ხოლო ვისაც არ უნახავს, შეუძლიან ნახოს. ასე რომ აღნიშნულ ფულების შემოსავალში ჩაუწერლობის ბრალი იქნებ ვისმეს დაბრალდეს, მაგრამ, თავის-თავად ცხადია, ბ-ნი მდივანი ბრალდებისაგან თავისუფალი უნდა იყვეს. შეიძლება თავ. პ. თუმანიშვილზე აიღოთ ეჭვი და იფიქროთ, რომ იმან მიითვისა ეს ფულებიო. მაგრამ ასეთი ეჭვი უსამართლო და უსაფუძვლო იქნება, რადგან პავლე თუმანიშვილი არა თუ ჩვენსას არაფერს მიითვისებდა, პირიქით თითონ იმისი არა ერთი და ორი ათასი მანეთია აქ დახარჯული. მაშ რა იქნა ფულებიო?—იკითხავთ. ფულები აქვე დაიხარჯა, მაგრამ ანგარიში და საქმის წარმოება რიგიანს დონეზე არ იყო მაშინ დაყენებული და ამიტომ რიგიანად არ გატარდა წიგნებში.

ორატორმა წარმოადგინა ნიმუშები 1911 და 1912 წლების კასის წიგნებისა, რომლისგანაც სჩანს, რომ შემოსავალში ფულები იწერებოდა, მაგრამ ერთობ უსისტემოდ და არეულ-დარეულად, ასე რომ რომელი ფული რა თანხიდან არის, რისთვის შემოვიდა და სხ. არა სჩანს.

2) ბ-ნ მდივანსავე აბრალებენ, რომ ქვრივ სალ. გურგენიძის სურვილი არ შეასრულებინა კომიტეტს, ე. ი. მისი სამკვრივო მამული არ მიაღებინა საზოგადოების სასარგებლოდო. ეს ბრალდება, ბ-ნ გვერდწითელის აზრით, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ბ-ნი მდივანი ბარემ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერას გახდა, საქმე ის არის რომ გურგენიძისას მცირე რაღაც სამკვრივო წილი ერგებოდა თავისი ქმრის ნათესაობისაგან და ისიც თავისს სიცოცხლეში თითონ უნდა მოეხმარა, საზოგადოება მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახდებოდა ადგილის პატრონად. ქვრივის სიკვდილამდის-კი გამგე კომიტეტს უნდა გამოეყო მონაწილეთაგან ქვრივის წილი მამული და პატრონობა გაეწია მისთვის. ერთი სიტყვით გამგე კომიტეტი გურგენიძის მოურავი უნდა გამხდარიყო. ეს როლი არ იკისრა კომიტეტმა, რადგან ასეთი ანდერძი საზოგადოებისათვის უფრო საზარალოდ სცნა, ვინემ სასარგებლოდ და ანდერძი არ მიიღო. ეს არის ფაქტიური მხარე საქმისა და ვინ არის ისეთი, რომ ამ საქმეში მდივანს დამნაშავედ აღვიარებთ?

3) ალ. მდივანს აბრალებენ, რომ გამგე კომიტეტის ნება და ერთთავად მან 2000 მან. მიიღო იმავე ქვრივ გურგენიძისაგან ეკლესიის დასამთავრებლად. ამ ფულიდან გამგე კომიტეტს გადასცა, ისიც ერთობ გვიან, მხოლოდ 1000 მან., ხოლო დანარჩენი 1000 მან. კომიტეტს არ მისცაო. ეს ბრალდებაც, ორატორის სიტყვით, რომ ეს ფულები გურგენიძის ქვრივმა მდივანს გადასცა ეკლესიის დასამთავრებლად, და არა კომიტეტს, რადგან ამ უკანასკნელზე გაჯავრებული იყო, მდივანმა ნაწილი ფულებისა (1000 მ.) დანიშნულებისამებრ ეკლესიას მოახმარა, რასაც ამტკიცებენ გასამართლებელი საბუთები და ამოწმებენ დეკ. კალ. ცინცაძე, ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი, კომიტეტის წევრი ინჟ. დ. ჯორჯაძე და სხ. რაც შეეხება მეორე 1000 მანეთს, იგი ბ-ნმა მდივანმა, თბილისიდან გასვლის გამო, გადასცა კომიტეტის წევრს დ. გ. ჯორჯაძეს.

4) აბრალებენ ალ. მდივანს აგრეთვე იმას, რომ სამუსიკო იარაღების შესაძენად კომიტეტის ნება დაურთველად ფულები შეაგროვა და გაფლანგაო. თავისთავად ცხადია, რომ არავითარი ნებართვა ამ საქმისათვის არ სჭირდებოდა მდივანს. მან შეაგროვა სულ 400 მანეთი, რომელიც, როგორც დავთრებიდან სჩანს, გადასცა კომიტეტის კასირს თავ. ავალიშვილს, როგორც ვიცით, ავალიშვილს იმ დროს ჩვენი ფულების გაფლანგვა აღმოაჩნდა. მართალია, იმას გასავალში ჩაწერილი ჰქონდა 400 მან., რომელიც ვითომც ბ-ნ მდივნისათვის დაებრუნებინოს, მაგრამ ეს არაფრით არ მტკიცდება. ცხადია, ეს ტყუილად ჩაუწერია კასირს გასავალში, თორემ მართლაც რომ დაებრუნებინა მდივნისათვის, განა ხელს არ მოაწერინებდა?

შემდეგ ორატორი გადავიდა კომისიის ბრალდების შესახებ იმისა, რომ კომიტეტში ანგარიშების წარმოება უხეიროდ იყვო და საქმის დიდად ცოდნით აშკარად დაამტკიცა, რომ კომისიის წევრებს არა სცოდნიათ-რა არა თუ ბუჰგალტერიისა, არამედ ანგარიშის შედგენისაც.

ბოლოს ბ-ნმა გვერდწითელმა განაცხადა, რომ წინა წლებში მართლაც არეულ-დარეული იყო კომიტეტში ანგარიშის წარმოების საქმე, მაგრამ თანდათან გამოკეთდა და ეხლა, მადლობა ღმერთს, შედარებით საქმე რიგიანად მიდისო. მართალია ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ თანდათან ყველაფერი თავისს კალაპოტში ჩადგება. კომისიის არჩევა კარგია, მაგრამ კომისიაში მცოდნე კაცები უნდა მოჰყვნენ და არა უბრალო მოლაპარაკენიო.

ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ.

კრება შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის გადაიდვა.

9 თებერვალს კრება გაიხსნა საღამოს 8 საათ. 45 წუთ.

ზოგიერთნი აცხადებენ: ბ-ნ გვერდწითელის სიტყვის შემდეგ საკითხი გაშუქებულია, სალაპარაკო აღარა დარჩენილა რა, კომისიის მიერ წამოყენებული ბრალდება ალ. მდივნის წინააღმდეგ აკვიატებულია. ამისათვის მოითხოვენ, ამ საკითხს ბოლო მოეღოს და კრება მორიგ საკითხებზე გადავიდეს.

**ბ-ნი სპ. ბაქრაძე.** წინადაც არა ერთხელ განმიცხადებია, რომ ტურიაშვილის ნაანდერძევი 2.500 მან. ალ. მდივანმა გადასცა თავ. პ. თუმანიშვილს. ტურიაშვილის სურვილი ის იყო, რომ მისი ნაანდერძევი % ღარიბ მოსწავლეთ მოხმარებოდა სტიპენდიის სახით. როგორც ხედავთ იმ თანხას განსაზღვრული დანიშნულება ჰქონდა და სწორედ იმ დანიშნულებას უნდა მოხმარდეს. ფული კი სულ სხვა საქმეებზე დაიხარჯა. ამ რიგად გამგე კომიტეტმა საკუთრება მოსტაცა ღარიბ მოსწავლეებს. ამიტომ ანდერძის პირობანი აღდგენილ იქმნას. დღევანდლამდე ფულის პროცენტი შეადგენს 600 მანეთს და ეს ფული გამგე კომიტეტმა ეხლავე უნდა გადმორიცხოს სხვა რომელიმე თანხიდან, შემდეგ კი შემონაწირი თანხა სავსებით აღდგინდეს.

**ბ-ნ გ. რცხილაძის** აზრით ტენდენცია კომისიის მოხსენებისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ჯგუფს მიზნად აქვს დასახული ჩირქი მოსცხოს თავ. პ. ი. თუმანიშვილის სახელს. მაგრამ ამის გაბედულობა არ შესწევთ. თუმანიშვილი დიდი კაცია და მისთვის პირდაპირ ვერ შეუბედნიათ. ალ. მდივანი და დ. ჯორჯაძე პატარა კაცები არიან და, აი, ესენი ამოიღეს მიზანში. ესენი ჰსურთ პასუხის გებაში მისცენ თუ მოახერხეს, ცხადია, პ. თუმანიშვილიც ჩათრეული დარჩება, რადგან 2.500 მან. ბ-ნმა მდივანმა იმას გადასცა, როგორც გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს. იმედი მაქვს საზოგადო კრება დაგებულ ქსელში არ გაებმება და ყოველივე ცილის წამებიდან გაანთავისუფლებს პატივცემულ საზოგადო მოღვაწეთ.

**თავ. ივ. აბხაზი.** კომისიის ოქმი წინასწარ განზრახვით არის შედგენილი, რათა ჩირქი მოსცხოს უდანაშაულო პირებსო. ასე რომ არ იყოს, როგორ შეიძლება ლაპარაკი 2.500 მანეთზე, რომელიც როგორც დამტკიცდა, ბ-ნ მდივანს გადაუცია გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. პ. თუმანიშვილისათვის, ეს უკანასკნელი ხომ არ მიითვისებდა იმ ფულს და კიდევაც რომ წაეღოს, განა მისი საკუთარი 5000 მან. მაინც არ არის აქ დახარჯული? ორატორი აფრთხილებს საზოგადო კრებას, რომ შემდეგ აღარ აირჩიოს ასეთი რევიზორები, თორემ ყველა საზოგადო მოღვაწეს ჩამოიშორებთ და ახალიც აღარავინ მოგვეკარება. თავ. აფხაზს ბ-ნ სპ. ბაქრაძის მოთხოვნილება ტურიაშვილის ანდერძის შესრულების შესახებ სამართლიანად მიაჩნია.

ბ-ნმა **ალ. მდივანმა** ვრცლად დაასურათა ის აუტანელი ატმოსფერა, რომელმაც მისი დირექტორობის დროს თავი იჩინა ქართულ გიმნაზიაში. კომისიას რომ მოესურვებია, 2 საათის განმავლობაში გაიგებდა გიმნაზიის წიგნებიდან, დაიხარჯა თუ არა ტურიაშვილის ნაანდერძევი 2.500 მანეთიო. ორატორმა სიტყვის გათავების შემდეგ დარბაზი დასტოვა.

რადგან უკვე შუაღამე გადასული იყო, თავმჯდომარემ კრება დახურა შემდეგი დღის საღამოს 8 საათამდე.

**საქმის დასასრული.**

10 თიბათვეს კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზე. კამათი გრძელდება. ილაპარაკეს, სხვათა შორის, ბ-ნმა **ალ. მიქაბერიძემ, ივ. კაჩუხოვმა, დავ. კარიჭაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ირ. რამიშვილმა და სხ.**

**ბ-ნი გრ. რცხილაძე** (თავმჯდომარეს): გთხოვთ შეეკითხოთ კომისიის წევრებს, ისევ იცავენ თავიანთ მოხსენების დასკვნას, თუ არა?

**გენ. კობიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე). კომისიას თავისი მოხსენების არც ერთს მუხლზე აზრი არ შეუცვლია.

**ნ. ი. არჯევანიძე** (კომისიის წევრი) ან ჩვენ დამნაშავეთა სკამზე, ან ისინი!

კომისიის დანარჩენ 2 წევრს ბ-ნ **დ. დუმბაძეს და კ. მალალაშვილს** აზრი შეუცვლიათ მოხსენების დასკვნის შესახებ.

თავმჯდომარეს წარუდგინეს რამდენიმე პროექტი რეზოლიუციისა. მათ შორის კრებამ ერთხმად შეიწყნარა ბ-ნ **გ. რცხილაძის** პროექტი, რომლითაც სარევიზიო კომისიის დასკვნა უარყოფილ იქმნა. 2 კაცს (მათ შორის კომისიის წევრი კ. მალალაშვილი) მონაწილეობა არ მიუღია ხმების ჩამოტარების დროს.

კრება გადაიდვა შემდეგი დღის საღამოს 8 საათამდე.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვაში შეცდომით არის შეტანილი: „იმან (კომისიამ) გამომძიებლის და მაძებართა როლის შესრულება იკისრა". ეს სიტყვები პატივცემულ პროფესორს არ უთქვამს.

# დედის წერილი შვილთან

ჩვენს გაზეთებში ხშირად დაიბეჭდა ჯარისკაცთა წერილები მშობლების მიმართ. ამ წერილებში მუდამ გამოკრთის გულწრფელობა და ოჯახის გულითადი სიყვარული. ფრიად დამახასიათებელია ქართველი დედის წერილიც, ბრძოლის ველზე მყოფ შვილისადმი მიწერილი. აქ შვილის უაღრეს სიყვარულში ჩაქსოვილია უსაზღვრო სასოება და რწმენაც. მოგვყავს უცვლელად, რადგანაც იგი ქართველი დედის გულის ნადებისა და სულისკვეთების დამახასიათებელ ₰ სადა გამოხატულებად მიგვაჩნია. ვბეჭდავთ სრულიათ უცვლელად:

„შვილო ვანა შენ გენაცვალოს დედაი ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობასა და კარგათ ყოფნასა მამაძესა უფალსა ვთხოვ ძე ღვთისა იესო ქრისტესა ღვთის მშობელ დედოფალსა მარიამსა ვეხვეწები ნიადაგ დღე და ღამე ამ ჩვენ სალოცავებსა რომ მშვიდობით იმყოფებოდე რომ მშვიდობით მოგიყვანოს ამ შენ არე მარეზედა მამაშენმა გიორგამა აპაკუტამა ოლამა მარამა მოგიკითხეს სუყველამა დიდი სიყვარულითა შვილო ვანა ორჯერ მე განახე სიზმარშია შუბლი და თვალები დაგსიებოდა ორჯელ მარამა განახა ძან გამხდარი იყავი და პარტახტი და მუწუკი გაყარა ეგ ისარი შვილო რო შენა ჩვენი დარდი გაქვს და ჩვენ შენი ჯავრი გვაქვს ნეტა შვილო ან გზა ვიცოდე და ან კვალი რო წამოვიდე და ისრე განახო ვაი ჩვენ სიცოცხლესა და ჩვენ ყოფნასა რომ ჩვენ ცოცხლები ვართ რაც წასულხარ ვართ შენ ჯავრში და ვარამში ქალი გყავს შვილო სწორედ დაწერე შვილო და გაგვაგებინე ან ტანისამოსი რა გაქვს ან საჭმელი და ან სასმელი მალიმალ დაწერე და გაგვაგებინე და გამოგვიგზავნე ეს წიგნი რად დააგვიანე რატო მალე არ გამოგზავნე ვარმისაგან კინალამს დავიხოცენით ნეტაი შვილო შენა გვყავდე კარგათა და ჯერ კარგი მოსავალია და კარგი პირი აქვთ ჰინახულებსა და ამასიქით კი არ ვიცი მაგრამა შვილო შენი დარდი და ვარამი გვათავებს და გული კი არაფერზე გვაქვს კეკემაც მოგიკითხა თებრომაცა ანიჭკამაცა დიდი სიყვარულითა ამ წერილსა გწერს **დედაშენი თინათინი**".

# დაბა-სოფლები

**დ. ჩოხატაური.** ამ ბოლო დროს აქეთ მხარეს მრეწველობის საქმეში დიდი გამოფხიზლება და ნაბიჯი ეტყობა. კოოპერატიული დაწესებულებანი და ყოველგვარი სავაჭრო-სამრეწველო კავშირები იმის ცდაში არიან, რომ დღევანდელი მომენტით დაზარალებულ ხალხს ცხოვრების პირობები გაუუმჯობესონ. ამას წინად ხომ მეთამბაქოეთა ყრილობა იყო. შემდეგ მთელი რაიონის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება გაიმართა. თუთუნის გარდა პირველ სამრეწველო საქმედ მეაბრეშუმეობა ითვლება.

დ. ჩოხატაურში შესდგა ბიურო, რომელიც ამ ხანად უპირველეს ყურადღებას აბრეშუმის საქმეს მიაქცევს. უკვე პარკის გამოტანის დრო დადგა. ვაჭართა შუა კაცები, უკეთ ჩარჩები, უკვე მზადებაში არიან, მაგრამ აღნიშნულმა ბიურომ ღირსეული ზომა მიიღო: ამ დღეებში თავს მოუყრის ადგილობრივ საზოგადოებებს და განუმარტავს, რომ პარკი ეხლა არ გაჰყიდონ. პარკს ერთს ან რამდენიმე ადგილას შეაგროვებდნენ, ერთად მოხარშვას, გახმობას და მხოლოდ შემდეგ პირდაპირ მრეწველს მიჰყიდიან. საჭიროა მცხოვრებლები შეთანხმდნენ ამ საქმეში და მით უბედურ მდგომარეობას თავი დააღწიონ. ბიურომ კარგი მიზანი დაისახა და ხალხმაც მას თავისი ხმა უნდა შეუეროს.

**მიშო.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**

---

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე ხწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10 33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . | 7 „ | 58 „ | საღ. |

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში ხაუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
გრნოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ
დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა ხნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო
(13-207-4)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქათროულად თავმოროთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ₰ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი"

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოხჩი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.